პროლეტარნო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 20 აპრილი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მეომარი

№ 481 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 21 აპრილს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ.) დანიშნულია თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომის გაგრძელება.

**დღის წესრიგში:**

1) თბილისის აღმასკომის 1924 წ. ბიუჯეტის დამტკიცება.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## ვემზადოთ ხუთ მაისისათვის.

ხუთი მაისი საბჭოთა პრესის დღეა.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთები ჯამს გაუკეთებენ წარსული წლის თავის ნამუშევარს, აღნიშნავენ თითეულ ნაკლულოვანებას, დეფექტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლის მუშაობაში. აღნიშნავენ აგრეთვე მიღწევებსაც.

ამიტომ თითეული მუშური, გლეხური და წითელ არმიელის გაზეთის მიზანს და ინტერესს შეადგენს რაც შეიძლება მეტი სისწორით, მეტი სიფართოვით და მაღალ მხრივ გააშუქოს ამ დღისათვის თავისი მუშაობა და მიღწევები.

საბჭოთა პრესა ეს ერთგული თვალი და ყური საბჭოთა სახელმწიფოსი. ის დაუძინებელი მტერია კონტრრევოლიუციის და ყოველგვარ ანტისაბჭოთა მამართულობის, მოქმედების. მუშური პრესა უერთგულესი მეგობარია მუშათა კლასის და საუკეთესო დამხმარე მისი შემოქმედებითი მუშაობაში სოციალიზმის დასამყარებლად.

საბჭოთა პრესა მტკიცედ სდგას პროლეტარული ინტერესების სადარაჯოზე; ის სიყვარულით აღნიშნავს თითეულ მიღწევას, გამარჯვებას მუშათა კლასის შრომის და აღმშენებლობის ფრონტზე, ხოლო გახურებული შანთით სწვავს ყოველგვარ ბოროტებას, რომელიც ხელს უშლის საბჭოთა ქვეყნების წინსვლას და აღორძინებას.

ასეთია საბჭოთა პრესის დანიშნულება მუშურ გლეხურ სახელმწიფოში.

მისი მნიშვნელობა და როლი პროლეტარული დიქტატურისა და სოციალიზმის განხორციელების საქმეში მეტად დიდია.

დღითი დღე ის მიისწრაფვის რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერებით შეასრულოს თავისი მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. დღითი დღე ის ვითარდება, მისი ბასრი იარაღი უმჯობესდება და მოხდენილად სცემს მტერს.

მუშათა პრესა—ეს მუშების შემოქმედებაა. მათი კორესპონდენტები არიან ის წითელი ჟურნალისტები რომლებიც ქმნიან მუშურ გაზეთს. და რამდენადაც მათი რიცხვი დიდია, იმდენად საბჭოთა გაზეთი უფრო მეტად უახლოვდება თავის დანიშნულებას და დგება თავის მოწოდების სიმაღლეზე.

კერძოდ ასეთივე მნიშვნელობა აქვს წითელ ჯარში სამხედრო კორესპონდენტებსაც. სამხკორები ასრულებენ იმავე როლს წითელი ჯარის რიგებში, რასაც მუშათა კორესპონდენტები შრომის ფრონტზე.

ამიტომ თითეული სამხკორის მოვალეობას შეადგენს მეტის ენერგიით, მეტის ყურადღებით მოეპყრას თავის მოვალეობას.

დღემდის ჩვენ და საუბედუროთ სამხკორების მუშაობა მეტად მოიკოჭლებდა და უსისტემობის ხასიათს ატარებდა.

ამჟამად ეს შეუძლებელია. უნდა გავაღრმავოთ სამხკორების მუშაობა. საჭიროა ყველა ნაწილებში იყოს სამხკორები.

დღესაც ბევრია ისეთი ნაწილები, უმთავრესად ასეულები, სადაც არ არის სამხკორები. ეს შეუწყნარებელი მოვლენაა. საჭიროა ყველა ნაწილებში იქნას დაუყონებლივ არჩეული სამხკორები, ხოლო ისეთ ნაწილებში სადაც დემობილიზაცია გატარებულია ასეთები წამოყენებულია კომუჯრედების ან და კოლექტივების მიერ.

დღემდი ჩვენ ძალიან ცოტა გავაკეთეთ სამხკორების ქსელის განმტკიცების საქმეში, რაც აიხსნება ჩვენი გაზეთის მატერიალური სივიწროვით წარსულ თვეებში. როდესაც გაზეთი მოკლებული იყო სათანადო სახსარს, სულს ღაფავდა და მუდამ სიკვდილის მოლოდინში იყო. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. გაზეთი მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილია.

ყოველივე ეს რასაკვირველია გვავალებს მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრი გადავიტანოთ ჩვენ სამხკორთა ქსელის განმტკიცების და მათი მუშაობის გაღრმავების მხარეზე.

წარსულ კვირას შესდგა ჩვენი გაზეთის სამხკორების საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა უახლოეს ხანში აღრიცხვაზე იქმნას აყვანილი ყველა კორესპონდენტები. მაგრამ მარტო ეს არ კმარა, როგორც ზევით ვსთქვით საჭიროა არც ერთი ნაწილი არ დარჩეს უსამხკოროთ.

ამრიგად ხუთ მაისამდე აყვანილ უნდა იქნას ყველა სამხკორები აღრიცხვაზე და ყველა ნაწილში უნდა იყოს სამხკორი.

ეს ჩვენი დივიზიის დამკვრელი ამოცანაა და ის სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი.

პასუხისმგებელ ლეგიონის სამხკორებს ევალებათ დაუყონებლივ შეუდგენ ხუთ მაისისათვის მზადებას და მოგვაწოდონ კორესპონდენციები ჩვენი გაზეთ „წითელ არმიელის“ შესახებ.

ღირსეულად შევხვდეთ ხუთ მაისს!

# რადიო-დეპეშები

— **საფრანგეთის პლებისციტს მოჰყვა რესპუბლიკის სასარგებლო შედეგები. რესპუბლიკის სასარგებლოდ შეგროვდა 754.842 ხმა, წინააღმდეგ 325.322.**

— **„დეილი მეილის“ ცნობით იაპონიის მმართველობის ორგანოები აჯასიათებენ შეერთებული შტატების სენატის მოქმედებას როგორც მუქარას ერთა თავისუფლებისა და მშვიდობიანობის მიმართ.**

— **ლენინგრადში აღმოჩენილ იქნა ჯაშუშთა ორგანიზაცია პოლონეთის დელეგაციის თანამშრომელ—ლიხვიცკის მეთაურობით.**

## საბჭოთა კავშირი

### ქარბუქი ქართულ სამხედრო გზაზე.

18 აპრილს სამხედრო გზაზე ბალთა—ვლადიკავკავის მიმართულებით მძვინვარებდა სასტიკი ქარბუქი და ზვავები. 200 საჟენის მანძილზე დანგრეული და გაფუჭებულია ბოძები და მავთულები მთავარი სატელეგრაფო მაგისტრალის—ტფილის—ყაზბეგ—მოსკოვისა. მოსკოვთან დროებით შეწყვეტილია სატელეგრაფო კავშირი. ბაქოსა და ოდესის მხრით შემოსავლელ ხაზების დატვირთვის გამო, და აგრეთვე რადიოზე ატმოსფეროს დაცლის გამო, მოსკოვის ინფორმაციის მიღება უშუალოდ შეუძლებელია. შუადღიდან მოსკოვის ინფორმაცია მოდის ბაქოდან, საიდანაც მას სასწრაფოდ გადმოსცემს „ზაკროსტას“ ბაქოს განყოფილება.

**ცენტროკავშირში.**

მიმდინარე წელში ცენტრო-კავშირი მიაწვდის სათესლო მასალებს 732.000 ფუთზე მეტს.

ცენტრო კავშირმა დაუწია ფასები მახორკაზე 12 პროცენტით, ჩაიზე 10 პროცენტით და მანუფაქტურაზე 15—40 პროცენტამდი.

**სართავსინდიკაციის გაფართოება.**

სრულიად რუსეთის სართავ სინდიკატის გამგეობას აქვს სავაჭრო განყოფილების კაპიტალი 26-მილიონამდი, რაიც საშვალებას მისცემს მოამარაგოს მანუფაქტურით საბჭოთა კავშირის ყველა რაიონები, თვით შორეულ განაპირებამდი.

**პროტესტის ლოზუნგები დაუვიწყარია.**

**საბჭოთა რუმინეთის კონფერენციის მნიშვნელობა.**

ბესარაბიის დელეგაციის თავმჯდომარემ რუმინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე—ციგანკოვმა განაცხადა, რომ კონფერენციამ მოიტანა დადებითი შედეგები, ვინაიდან საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ კატეგორიულად უარყო რუმინეთის უფლება ბესარაბიაზე და გადაისროლა ბალკანეთის შუა გულში ერთა თვით გამორკვევის ლოზუნგი.

**პირდაპირი მიმოსვლა სსრ—კ გერმანიას შორის.**

11 მაისს მოსკოვში მოწვეულია გერმანია-საბჭოთა რკინის გზის კონფერენცია, სადაც განხილულ იქნება საკითხები გერმანიასა და სსრკ-ს შორის პირდაპირი მიმოსვლების შესახებ.

**მიწების მიღება.**

ბალაკლავის ახლოს მიეცა დემობილიზაციაში გასულ წითელ არმიელებს მიწის რაიონი საჭირო შენობებით და ინვენტარით სასოფლო სამეურნეო კავშირების შესადგენად გახსნილია აგრეთვე საერთო საცხოვრებელი ბინები და სასადილო დემობილიზაციაში გასულთათვის.

## პოლონეთის ბურჟუაზია ფლანგავს ხალხის ავლა დიდებას.

პოლონეთის ბურჟუაზიულ მთავრობის იმპერიალისტურ-მილიტარისტულ პოლიტიკამ მიიყვანა ის მწვავე ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისამდე. აუარებელი სამხედრო ხარჯები ძირს უთხრიან პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტს და აცალიერებენ სახელმწიფო სალაროს.

პოლონეთის გამყიდველი ბურჟუაზია, რომელიც ერთგული მონამორჩილია დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის და განსაკუთრებით საფრანგეთისა, გაფაციცებით აძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს. ამ მიზნით ის მიმართავს სესხს. პოლონეთის მთავრობა იმდენათ ჩაეფლა ვალებში, რომ მარტო წლიური პროცენტები ვალებისა, ათჯერ აღემატება იმ თანხას, რომელიც სახელმწიფოს გადადებული აქვს წლიურად სწავლა-განათლებისათვის.

აქედან ცხადია თუ რა შედეგები მოაქვს ასეთ პოლიტიკას. დღითი დღე პოლონეთის მარკა ეცემა, იზრდება სიძვირე, უარესდება მშრომელთა მასების ისედაც უმწეო მდგომარეობა.

პოლონეთის მემამულეები და ბურჟუაზია სახელმწიფო სალაროს შესავსებლად ადიდებს გადასახადებს და ტყავს აძრობს მშრომელ გლეხობას.

ამის გარდა პოლონეთის მთავრობა სდებს ისეთ საკონცესიო ხელშეკრულებებს უცხოეთის კაპიტალთან, რაიც ანადგურებს ხალხის სიმდიდრეს.

როგორც უკანასკნელი დეპეშები გადმოგვცემენ პოლონეთის მთავრობამ მისცა ინგლისელ კაპიტალისტებს საექსპლოატაციოთ ბელოვეჟის სახელმწიფო ტყეები. ეს ტყეები მეტის მეტად დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, რომლის რაციონალურად მოხმარება დიდ შემოსავალს მოუტანდა. მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზია აძლევს მას ინგლისის კაპიტალისტებს რომლებიც ერთ ხესაც არ დატოვებენ ბელოვეჟში, რათა ცოტათი მაინც შეავსოს სახელმწიფო სალარო და ერთგვარი სტაბილიზაცია მოახდინოს განწირული მარკისა.

არა თუ ინგლისელ კაპიტალისტებს მიყ და მან ხალხის ავლა დიდება, არამედ სხვებსაც.

ყველა დიდი წარმოებები უმთავრესად ხელთ აქვთ საფრანგეთის ბანკირებს და იტალიის კაპიტალისტებს, რომელთაც რამოდენიმე ხნის უკან მან გადასცა თამბაქოს მონოპოლია.

ასე მუშაობს პოლონეთის მტაცებლური ბურჟუაზია და რეაქციონური მემამულეები პოლონეთის „საკეთილდღეოთ“!

მაგრამ დადგება მისთვისაც შავი დღეები.

მათი უპასუხისმგებლო ბატონობისაგან გმინავს პოლონეთის მუშა და გლეხი.

მშრომელთა მასები თავის უკმაყოფილებას გამოხატვენ გაფიცვებსა და პარტიზანულ გამოსვლებში.

ეს კი ნიშნავს, რომ სოციალური რევოლიუციის ტალღები თანდათან უახლოვდებიან ბურჟუაზიულ პოლონეთის სიმაგრეებს. დიდი დრო არ დარჩენიათ პოლონეთის პანებს ხალხის ქონების გასაფლანგავათ. პროლეტარ. რევოლიუცია მოსთხოვს ყოველივე ამისთვის მათ სასტიკ პასუხს.

—ი.

### პროფკავშირთა კურორტი.

**სევასტოპოლში.**

საზღვარ გარედ გაქცეულ პროფესორთა და მწერალთა კურორტები, მათ რიცხვში მილიუკოვისა და კუპრინის ალებულია კურორტად საექციენერო საფუძველზე. მთავარი— „ზაისჩიკები“ — პროფკავშირებია.

### ილიჩის სახლში.

გათვალისწინებულია ნაციონალიზაცია სახლის, რომელშიაც დაიბადა ილიჩი; შიგ მოთავსებული იქნება კულტურული დაწესებულება და მუზეუმი.

### უარი აღდგომის დღესასწაულზე.

**ვიტებსკი.**

რკინის გზელებმა, ნავთის საწყობის მუშებმა და მზექდავებმა მიტინგზე გამოიტანეს დადგენილებანი, სადაც უარს ამბობენ აღდგომის დღესასწაულის უქმობის შესახებ.

**ბრიანსკში.**

მთელ რიგ დაწესებულებათა მუშებმა დაადგინეს აღდგომის დღესასწაულებზე იუქმონ პირველი ოთხი დღე.

### ჯაშუშთა ორგანიზაციის აღმოჩენა.

ლენინგრადში აღმოჩენილ იქნა ჯაშუშთა—ორგანიზაცია პოლონეთის დელეგაციის თანამშრომელის — ლიახოვიცკის მეთაურობით. ბრალი ედებათ პირებს წითელი არმიის უფშემადგენლობიდან მიდუშევსკისა და ზელენსკის (ყოფილი ოფიცრები).

### წითელი არმია—მშრომელთა არმიაა.

როსტას თანამშრომელთან საუბარში, ამხ. ბუდიონიმ აღნიშნა, რომ წითელ არმიაში სამსახური არის მშრომელთა პრივილეგია, ხოლო პარაზიტებისა და ბურჟუაზიის მასში ადგილი არ აქვს.

### რკინის გზელთა ყრილობის რეზოლიუცია.

დასრულდა რკინის გზელთა ყრილობა მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მასებში მუშაობის გაძლიერებას, თანდათანობითი და მიზანშეწონილად გადიდებას სამუშაო ხელფასისა მრეწველობის სხვა დარგებთან შეფარდებით, პოლიტიკურ აღრზდის მუშაობის გაუმჯობესებას და სატრანსპორტო კოოპერაციის საქმიანობის გაძლიერებას.

### კოოპერაცია იზიდავს მუშებს.

ცენტრო კავშირის გადასინჯვამ გამოარკვია, რომ მუშებს უყიდიათ საქონლები მუშათა კოოპერატივებში 18 პროცენტის თავის ჯამაგირიდან, ხოლო მსხვილ ცენტრებში 50 პროცენტზე მეტის. მუშათა კოოპერაციას აქვს 2 000 კოოპერატიული კავშირი და 3.200 დუქანი განაწილებელი 2 ნახ. მილიონამდე,

---

## პრესის მიმოხილვა.

### „ფულის რეფორმის განმტკიცება“.

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში მოთავსებულია ამხ. სტალინის წერილი, რომელშიაც ის აღნიშნავს გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მუშათა პირველ მოთხოვნილების საგნების ფასები ამ ახლო თვეებში არ აიწევს. აქ უნდა ვიანგარიშოთ ისიც, რომ გაზების წარმოების და სავაზაფხულო თესვის შეწყვეტით გაძლიერდება საქონლის შეზიდვა სოფლად; ხოლო ზაფხულის თვეების დადგომის შემდეგ გასავალი სათბობ მასალაზე, ტანსაცმელზე და განათებაზე შემცირდება, უნდა ვიფიქროთ, რომ მუშის რეალურ ცხოვრების დონე, რომელიც გამაგრებულ იქნება მტკიცე ფულის ჩარჩოებში მახლობელ 3 თვის პერიოდში არ დაიწევს.

ამასთან მუშებმა უნდა გამოიჩინონ ორგანიზაციული აქტივობა ბრძოლაში ფასების დაწევის საქმეში და მისცენ საუკეთესო ძალები კოოპერაციას... (გამოშვებულია). ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას რეალური სამუშაო ხელფასის გადიდება 3 თვიანი პერიოდის ბოლოსთვის“.

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში

### საბერძნეთი.

**პლებისციტის შედეგები.**

პლებისციტის საბოლოო შედეგები შემდეგია: რესპუბლიკის სასარგებლოდ 758,792, წინააღმდეგ—325.322 ხმა.

### კონტრიბუცია.

**მარქს ს განცხადება.**

კანცლერ მარქსმა „მატენ“-ის კორესპოდენტს განუცხადა, რომ ექსპერტთა ოთხ ენების მიღების შემდეგ მექანიკურად უნდა მოყვეს ამნისტია პოლიტიკურ პატიმართა საოკუპაციო ოლქებში და გადასახლებულთა დაბრუნება სამშობლოში. მარქსმა ხასგასმით აღნიშნა, რომ საერ აშორისო გარანტიის დაწესების შემდეგ, რურის ოკუპაციას რა ექნება საკმაო იურიდიული საფუძვლები

### საიმიგრაციო კანონი.

**იაპონიის ელჩი პუანკარესთან.**

იაპონიის ელჩს პარიზში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა პუანკარესთან იაპონიისა და შეერთებულ შტატებს შორის წარმოშობილ დავის შესახებ.

---

## საპირველმაისო ლოზუნგები

### ყველა გუბკომებს, ოლქკომებს და საოლქო ბიუროებს,

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა ჩაატაროთ პირველი მაისის დემონსტრაციები და მიტინგები შემდეგი ლოზუნგებით:

გაუმარჯოს პირველ მაისს—პროლეტარულ ბრძოლისა და გამარჯვების დღესასწაულს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის სიმაგრეს.

საბჭოთა დელეგაციას ლონდონში მტკიცე ნაკაზი: მუშათა და გლეხთა რევოლიუციის მონაპოვარი არ დაუთმოთ საერთაშორისო მტაცებლებს.

გაუმარჯოს საფრანგეთის პროლეტარიატს, რომელიც იბრძვის პუანკარეს წინააღმდეგ.

გაუმარჯოს პოლონეთის პროლეტარიატს, რომელიც იცავს ქვეყნის საქმეს.

გაუმარჯოს დამონებულ ერების თვითგამორკვევას.

შორს რუმინეთის მტაცებელთა ხელები ბესარაბიისაგან.

უკრაინისა და ბელორუსიის გლეხებს, ჩაგრულებს პოლონეთის მემამულეების მიერ – სალამი.

ძირს იმპერიალიზმის არმიები.

ძირს...(გამოშვებულია) ომები.გაუმარჯოს სოციალიზმის წითელ არმიას—მშვიდობიანი შრომის დამცველს.

გაუმარჯოს მშრომელი კლასის ომს კაპიტალის წინააღმდეგ.

მთელი პროლეტარიატის ერთიანი ფრონტით ფაშიზმის და მენშევიზმის წინააღმდეგ: ბულგარეთის სოციალდემოკრატები ეხმარებოდენ ფაშისტებს რევოლიუციონერ მებრძოლთა გაჟლეტაში, ხოლო გერმანიის სოციალ—დემოკრატები იცავდენ გენერალთა დიქტატურას. ძირს საერთაშორისო სოციალ—დემოკრატია—მოსამსახურე საერთაშორისო ფაშიზმისა.

პირველ მაისის დღეს ჩვენ ვუწვდით ხელებს ყველა ქვეყნის გლეხობას. გაუმარჯოს საერთაშორისო გლეხთა საბჭოს.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა და გლეხთა შეკავშირებას.

პირველ მაისის დღეს ჩვენი სალამი საერთაშორისო კაპიტალის ყველა მონებს, ყველ ჩაგრულ ერებს! საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა კლასს თავის განთავისუფლების შემდეგ ახსოვს კაპიტალისა და მენშევიკური სოციალ—დემოკრატიის ტყვეები, რომლებიც იტანჯებიან საკატორღო ციხეებში გერმანიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ლიტვიაში და რუმინეთში, და წყევა—კრულვას უგზავნის მათ მწამებელთა და ჯალათებს,

საქსონიის დახვრეტილ მუშებს, ჰამბურგის აჯანყების მსხვერპლებს, ფაშიზმისა და მენშევიზმის ჯალათების მიერ ყველა წამებულ და დახოცილ გმირებს —საუკუნო ხსოვნა.

გავხადოთ დაურღვეველი მუშათა და გლეხთა კავშირი საბჭოთა ქვეყანაში—საიმედო იარაღი მტრების თავდასხმის წინააღმდეგ, გავამტკიცოდ და გავაფართოოდ ეს კავშირი.

გაუმარჯოს რკპ-ს —მუშათა კლასის ბელადს. მუშებო და მუშა—ქალებო—ისწრაფედ რკპ-ს რიგებისაკენ ილიჩის პარტიისაკენ. აღვასრულოდ ილიჩის ანდერძები: გავამტკიცოდ და გავაფართოვოდ მთელი ქვეყნის მშრომელთა კავშირი—კომუნისტური ინტერნაციონალი და განვამტკიცოდ რკპ—სიმაგრე პროლეტარული დიქტატურისა,

მუშა ახალგაზრდობა—ჩვენი რეზერვია. გაუმარჯოს წითელ ახალგაზრდობას.

გაუმარჯოს მუშა და გლეხ—ქალებს დამცველთა და მშენებელთ საბჭოთა ქვეყნისა.

გაუწვრთნელობა და უცოდინარობა—დაბრკოლებაა კომუნიზმის გზაზე—გავანადგუროდ ეს დაბრკოლება.

განვამტკიცოდ კოოპერაცია, მოვიშოროდ კერძო შუამავალი და კოოპერაციის საშვალებით ძივაწოდოთ იაფი საქონელი სოფელსა და ქალაქებს.

რკპ-ს ცეკას მდივანი: **ანდრეევი.**

---

## სამხედრო აპარატის რეორგანიზაციის პრინციპები და მნიშვნელობა.

**სამმართველო აპარატის შეკვეცა. დაბალ სამხედრო ორგანიზაციის დამოკიდებულობის გაძლიერება. ანგარიშის შეკვეცა. ფუნქციონალური ნიშნები. ყურადღება სამოქალაქო ომში გამოცდილ ახალგაზრდობას. წითელ არმიელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.**

სამხედრო უწყება ამთავრებს ადგილობრივ და ცენტრალურ სამხედრო სამმართველოთა აპარატების საორგანიზაციო მუშაობას. ეს რეფორმა შეეხო წითელი არმიის ცხოვრების არა მარტო ორგანიზაციულ მხარეებს, არამედ სხვა მხარეების მთელ რიგს და თავის მნიშვნელობით შეიძლება სამართლიანად იქნას ის შეფასებული, როგორც ერთგვარი ახალი ხაზის დასაწყისი ჩვენს სამხედრო აღმშენებლობაში.

როგორია ამ რეფორმის ძირითადი პრინციპები და როგორია მისი მნიშვნელობა წითელი არმიის შემდეგი ცხოვრებისა და განვითარებისათვის?

ძირითადი მომენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო რეორგანიზაციას და რომლებიც საზღვრავენ მის მნიშვნელობასა და ხასიათს არიან შემდეგი: 1) მაქსიმალური შეკვეცა და გამარტივება წითელი არმიის სამმართველო აპარატების; 2) მათი ფუნქციების გადასინჯვა მუშაობის მაქსიმალური დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით; 3) აპარატის სტრუქტურის გარდაქმნა სამილიციო აღმშენებლობის პრაქტიკის გაფართოებასთან დაკავშირებით; 4) პირადი შემადგენლობის განახლება მისი მაქსიმალური კომუნიზაციის თვალსაზრისით და 5) სამსახურის გავლის მტკიცე წესების შემოღება და ახალ აღზრდილ მუშათა კადრის წამოყენება.

შეფარდა ხელმძღვანელ აპარატის სიდიდესა და მის მოსამსახურეთა შორის, მაჩვენებელია, საუკეთესო ყოფილი სამმართველო აპარატის აგების სისწორის. რამდენადაც მოსამსახურეთა ნაკლები რიცხვი საერთო სამმართველოსა და ხელმძღვანელ აპარატებში და რამდენად მეტი—ორგანოებში, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ საწარმოო ამოცანებს ამა თუ იმ სამოღვაწეო სფეროში, მით უკეთესია.

ამ თვალსაზრისით ჩვენი წითელი არმიის ძველი აპარატი არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად სამსახურის გაწევ აპარატების პროცენტი მასში თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვინემ მეფის ძველ არმიაში. მართალია, ეს რამოდენიმედ აიხსნება იმით, რომ წითელ არმიაში არსებობს ისეთი ფუნქციები, როგორიც არ იცოდა მეფის არმიამ (პოლიტ-მუშაობა). ეს გარემოება ამსუბუქებს დასკვნას, მაგრამ კი არ სცვლის მას. ზემოხსენებული შეფარდება უნდა შეცვლილიყო, და ეს ამ ჟამად უმეტეს ნაწილად მიღწეულია. მოხდენილ რეფორმის შედეგად წითელი არმიის სამმართველო აპარატი, დაწყებული ცენტრიდან და გათავებული გუბერნიის სამხედრო კომისარიატებითა და დივიზიებით, შემცირებულია საშუალოდ 40 პროცენტით.

როგორ იქნა მიღწეული ეს კოლოსალური შემცირება? ორი უმთავრესი ზომებით: 1) თვით აპარატების ფუნქციების გადასინჯვით და 2) საქმისა და ანგარიშის წარმოების არსებული სისტემის გამარტივებით.

პირველი ზომა იმაში გამოიხატება, რომ ახალი წესის მიხედვით ცენტრალური საშუალო (ოლქები, კორპუსები, დივიზიები) სამმართველო ორგანოები თავისუფლდებიან უშუალო მმართველობის ფუნქციათა დიდი უმეტესობიდან. განსაკუთრებით ნათლად აღნიშნულია ეს ხაზი მომარაგების ორგანოების საქმეში. ცენტრალური აპარატი ინარჩუნებს საერთო ხელმძღვანელობის ფუნქციებს პირდაპირი, უშუალო მართველობის ფუნქციები ეძლევა ადგილებს.

უმთავრესი ყურადღება ექცევა დაბალი სამხედრო ორგანიზაციის დამოუკიდებელ მნიშვნელობის გაძლიერებას—როგ. ბრიგ. პოლკი და მისი შესაბამი ნაწილები. ამიტომ პოლკის აპარატი არამც თუ შემცირებულია, არამედ ზოგიერთ შემთხვევებში კიდეც ძლიერდება.

სრულიად აშკარაა, რომ ამ მუშაობის ახალი პრინციპის გატარება ცხოვრებაში მოითხოვს მომეტებულ დროს. უმთავრეს სიძნელის აქ წარმოადგენს ფინანსიური დაბრკოლება, რომელიც ხელს გვიშლის თავის თავის დროს უზრუნველყოთ სახსრით ქვემო ორგანოები, რაიც საჭიროა გეგმა შეწონილ და სწორ ძეურნეობის საწარმოებლად.

მაგრამ უმთავრესი გაკეთებულია, ხოლო ფინანსიური პირობების გაუმჯობესება ნებას მოგვცემს მივიყვანოდ საქმე ბოლომდი.

მეორე ფაქტი, რომლის შემწეობით ჩვენ შევძელით საგრძნობლად შეგვემცირებია სამმართველო აპარატი—ეს არის ანგარიშის წარმოების შემცირება და გამარტივება. ცუდად გამოყენებული ქაღალდი—ისეთივე ჩირქია სამხედრო მუშაობისთვის, როგორც სხვა რაიმესთვის. ქაღალდი ყოველგან სცვლიდა ცოცხალ საქმეს აძლიერებდა მოდუნებასა და ბიუროკრატიზმს. დატვირთული საანგარიშო ქაღალდის მასით, ქვემო ორგანოებს არ ჰქონდათ დრო ხელი მიეყოთ ცოცხალი საქმისათვის, ხოლო ზემო ორგანოები იხრჩობოდენ სხვა და სხვა მოხსენებათა და ანგარიშის ქაღალდების ზღვაში და ჰკარგავდენ უშუალო კავშირის გრძნობის ადგილობთათ. ქაღალდებით საქმის კეთებას დღეს გაბედული ბრძოლა გამოეცხადა ყოველგან. სადაც კი შესაძლებელია, ქაღალდის ანგარიში შეცვლილ უნდა იქნას ცოცხალი კავშირით და კონტროლით, ბოროტება იქნება, ქაღალდების წარმოება და კანცელიარიის დატვირთვა იმ შემთხვევაში თუ რაიმე განკარგულების მოხდენა შეიძლება უშუალოდ ან ტელეფონის საშვალებით.

უფროსთა მისვლის პრაქტიკა თავის ხელქვეით ნაწილებში უნდა გაფართოვდეს უფრო, ვინემ დღეს არის. ამ ნაირ დვი ხელქვეით უფროსებს საშუალება უნდა მიეცეთ დროგამოშვებით გაუკეთონ პირდაპირი მოხსენება თავიანთ უფროსებს.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ითვალისწინებს დღევანდელ მუშაობის ყველა მეთოდების გარდაქმნას რაიც უპირველეს ყოვლისა შესაძლებელია ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობის ახალ საფუძვლებზე აღზრდის პირობებში. შეცდომები იქნება პირველ ხანებში, მაგრამ მიღწევები უშეცდომოდ ხომ შეუძლებელია. რამე ახალის შესწავლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი საქმით, პრაქტიკაზე.

საქმე სადმი ამ გვარმა მიდგომამ ნება მოგვცა ჩვენ შეგვემცირებია ანგარიშის წარმოება წითელ არმიაში 75 პროცენტით, ე. ი. სამი მეოთხედით, ხოლო საზღვაო ფლოტში 93,5 პროცენტით. ეს ციფრები საკმაო საბუთებია.

(დასასრული იქნება)

**,,პრავდა“.** **ფრუნზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## საზეიმო სხდომა მე-2-რე ლეგიონში.

7 აპრილს შესდგა მეორე ლეგიონის უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მომაგრებული ამხანაგები.

პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ტროცკი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ელიავა და ქლემენტი.

პრეზიდიუმში: ლეგთავი თავაძე, სამხკომი ელიაშვილი, შეფი ამხ ქორქაშვილი, პარტკომის წარმომადგენელი ამხ. შელია, აჭარ ახალ. კ. კავ. ამხ. გობეჩია, წითელ არმიელი ამხ. ცინცაძე, უფ-შემადგენლობიდან ამხ. ქუთათელაძე.

საზეიმო სხდომას ხსნის ბ. კ. მდივანი ჰანიშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. უვადო შვებულებაში წ სულ წით. არმიელების მოვალეობა სოფლად.

2. გამოსათხოვარ ნაკაზის განხილვა.

1-ლ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შელია, რომელმაც ვრცლად განუმარტა დამსწრე საზოგადოებას თუ რა მოვალეობა აქვს წით. არმიელს სოფლად. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ს.ს.რ.კ.-ს ეკონომიურ ალმშენებლობას. სასოფლო მეურნეობის შეს მჩნევ განვითარებით დღეს „მაკრატლის" საკითხის სიმწვავე კლებულობს.

მოხსენების დათავების შემდეგ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. შელიასი უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა ჩვენი მუშაობის შესახებ სოფლად და მასთან გამოსათხოვარი სიტყვები ამხ მუშების; ჩვენ უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელები ფიცსა ვსდებთ რომ მუშების მიერ მოპოებული დროშის წინაშე, რათა ჩვენ ავასრულოთ ყველა ის, რაც გვირჩიეს ჩვენმა მოძმე მუშებმა. არ დავივიწყებთ, წით. ყაზარმებში შეძენილ სამხედრო ცოდნას, გადავიტანთ სოფლად და მუდამ ვიდგომებით საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე. არ მივსცემთ სოფლის ნაძირალებს ხმის ამოღების უფლებას, არსებულ ხელისუფლების წინაამდეგ, ნათლად განუმარტავთ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობას და იმ ზრუნვას, რომელსაც ის იწევა, აეხსნათ მაკრატლის საკითხზე ხელს შეუწყობთ წით. არმიელების ოჯახებს: მუდამ ვიქნებით კოოპერაციის, სკოლის, ბიბლიოთეკის, გზების, ხიდეების და საერთო საქვეყნომოქმედო საქმეში დაინტერესებული და ერთი აქტიური წევრი. მუდამ ვიქნებით ლენინიზმის მცნების გამტარებელი სოფლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს წითელ არმიას.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს.

მეორე საკითხზე გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ლეგთავი ამხ. თავაძე, ქორქაშვილი, ელიაშვილი, მუშა თავბერიძე, ჯორჯენიძე, სიხარულიძე და სხვები. წითელ არმიელებიდან ცინცაძე, თოდრია და ტყემალაძე.

მუშა კალანდაძემ მუშური ფიცი დადვა მიმავალ წითელ არმიელების წინაშე, რომ მუშებიც მათთან ერთად იბრძოლებენ საერთო მტრების წინააღმდეგ და მოუწოდებს მათ მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირისაკენ.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ლეგიონის თანაშემწემ ამხ. ქუთათელაძემ რომელიც ულოცავს წით. არმიელებს მშვიდობით თავიანთ სახლებში დაბრუნებას და ავალებს, რომ არ დაივიწყონ სამხედრო საქმე.

ინტერნაციონალით და საერთო გუგუნით კრება დაიხურა.

სამხკორი მ. მელქაძე.

## 2-რე ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალ-არმიელთა გაცილება.

საუცხოვო დღეა, მზე აცოცხლებს არე-მარეს. წითელ-არმიელები, რადაცას დაფაცურობენ, დარბიან და ყვირიან. თან თავიანთ ყუთებსაც ალაგებენ. იციან, რომ დღეს 8 აპრილს მიდიან უვადო შვებულებაში.

რევაზ! ეს რა გიყიდია ბიჭო, ეკითხება მეტო.

ეს თავს ფარია, ამას მაინც მივუტან ჩემს ცოლს, რომ გაეხარდეს...

აბა დადექით, ყვირის ძამასახლისი მოწძობები, უნდა დარიგდეს...

ყველანი დგებიან, და სიხარულით ზღვით-ზევით დაფრინდებიან. შემოდის მეთაური და ურიგებს მოწმობებს. ამ დროს გაისმა ორთქლმავალის ძახილი

ვასო! გესმის! მატარებელი ჩამოაყენეს; მივდივართ, მივდივართ, ჩასჩურჩულა ვანომ გვერდში მდგომს. ამ დროს შემოდის წითელ არმიელი და მეთაურს მოახსენა, რომ ხალხი გაიყვანა გარეთ... წითელ არმიელებმა წამოავლეს თავიანთ ყუთებს ხელი და წყობილებით გადიან გარეთ. ბიჭო ილიკო! ხედავ! სტრათებს იღებენ, აბა ჩვენ კარგ ადგილას დავდგეთ, რომ კარგათ გამოვჩნდეთ. ლეგიონერები დგებიან და იღებენ სურათს... აბა ასეულებათ დააწყვეთ იძახის ლეგთავი: ყველანი დგებიან. ეშალონის უფროსი აბარებს ხალხს სადგურეზე და წითელ არმიელებიც მიემგზავრებიან დ ნიშნულ ვაგონებში სიმღერა ყვირილი, ორთქმავლის ხმა, ისე აე იქნ ერთიანეთში, რომ ვერც კი გაიგებდი კაცი ვინ რას ლაპარაკობდა. ორთქლმავალმა მის ა წავლის ნიშანი, დაიძრა კიდეც და რამდენიმე წუთში გაჩნდა საპარვო სადგურში. აქ ეშალონს დახვდათ მუშები, გაიმართა მიტინგი, სადაც წარმოსთქვეს გამოსამშვიდობებელი სიტყვები, როგორც მ შებმა, ისე უფ პოლიტ-წითელ არმიელებმა... ამ დროს მოდის სადგურის მორიგე, რომელმაც მოახსენა სამხკომს, რომ ეშალონი უნდა გავიდეს და ხალხი ჩასხდეს ვაგონებში. გაი ა სათანადო განკარგულება, ყველანი მოეწყვნენ თავთავიანთთვის და მატარებელიც დაიძრა. წავიდნენ წითელ არმიელები, ეშალონი მიეფარა თვალს, მხოლოთ ისმოდა მათი სიმღერა და ყიჟინა. წავიდნენ არწივები, რომლებიც საჭიროების დროს, როგორც ერთი ყველანი გამოვლენ წით. ლაშქარში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ.

2-რე ლეგ. სამხ. შ. მელქაძე.

## მეცადინეობა უფ-პოლიტ-შემადგენლობასთან.

1-ლ ლეგიონში წითელ არმიელების უვადო შვებულებაში დათხოვნის შემდეგ დაიწყო მეცადინეობა უფ-პოლიტ-შემადგენლობასთან. მეცადინეობას ხელმძღვანელობს ამხ. ამხ. შავდია, ლეგიონის უფროსის თანაშემწე. როგორც პოლიტიკურ საგნების გაკვეთილზე, ისე სამხედრო საქმისას დიდი სიამოვნებით ესწრება უფ-პოლიტშემადგენლობა და იჩენს აქტივობას. მაგრამ მაინც სასურველია უფრო ინტენსიურად და სისტემატიურად იყოს მეცადინეობა უფროსთა შემადგენლობასთან პოლიტ-ცოდნისა, რადგან, როგორც ირკვევა მოკლე ხანში იქნება გამოცდები. რაც შეეხება პოლიტშემადგენლობას მასთან მეტი გაცხოველებით მიდის სამწყობრო საქმე, და როდესაც მოვლენ ახალწვეულნი პოლიტხელები შეხვდებიან მათ არა მარტო პოლიტიკურად მომზადებულნი, არამედ სამწყობრო საქმეშიაც მცოდნენი.

მასთან ერთად ლეგიონში მოეწყო სასროლო საქმის კაბინეტი. მართალია მატერიალურად ცოტა გაჭირვებას განიცდის მაგრამ იმედია სათანადო ორგანოები აღმოუჩენს საჭირო დახმარებას. არსებობს სამხედრო სამეცნიერო წრე, სადაც ირჩევა კვირაში ორჯერ სამხედრო საქმის ხვა და სხვა საკითხები. რაც შეეხება შედეგებს მეცადინეობისას უფ-პოლიტშემადგენლობასთან მომავალი გვიჩვენებს.

წკრიალა.

## უფროსთა შემადგენლობის გამოცდები პოლიტიკურ ცოდნაში.

ჩვენს დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს, ამ ახლო ხანში მოახდინოს დივიზიის ყველა ნაწილების საშვალო და უმცროსთა შემადგენლობის პოლიტიკურ ცოდნის გამოცდები. აღნიშნული გამოცდები ჩვენს დივიზიის ცხოვრებაში არის მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რადგანაც ასეთი გამოცდები დივიზიაში ხდება პირველად. ამ გამოცდების მთავარი მიზანია გამოირკვეს, თუ რამდენად დაინტერესებულნი არიან ჩვენი უფროსთა შემადგენლობა პოლიტიკური—განვითარების მიღებით.

როგორ აინტერესებთ თითეულ საკომანდო შემადგენლობის წევრთ დაეუფლოს და მიიღოს მინიმუმი პოლიტიკური ცოდნის, რათა ის გახდეს ღირსეული ხელმძღვანელი ახალ-გაზრდა, წითელ ქულაჯაში გადაცმული ჯერ კიდევ გაუვითცნობიერებელ მუშებისა და გლეხებისა.

ამას გარდა ჩვენ გავიგებთ, თუ რამოდენათ დაუახლოვდა თითეული კომანდირი, უმცროსი იქნება ის თუ საშუალო ან უმფროსი, თანამედროვე წესწყობილების იდეურ საფუძვლებს, გაეცნო თუ არა საბჭოთა ალმშენებლობის სხვა და სხვა დარგებს და მთლიანად მის ღირსებას, შეისწავლა და შეითვისა თუ არა კლასთა ბრძოლის პრინციპები, შესისხორცებული აქვს თუ არა მნიშვნელობა და სიდიადე კომუნისტური პარტიის მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, შეგნებული აქვს თუ არა ძვალსა და რბილში ოქტომბრის რევოლიუციის იდეები შესწავლილი აქვთ თუ არა წითელი ლაშქრის ისტორია, ორგანიზაცია და განსაკუთრებით მისი ამოცანები, აინტერესებთ თუ არა მიმდინარე ამბების გაგება-შეთვისება და სხვა და სხვა.

ამას გარდა ჩვენ შეძლება გვეძლევა ჯამი გაუკეთოდ ადგილობრივად წარმოებულ მუშაობით მიღებულ დაკვირვებებს. და ამ გვარად მომავალ მუშაობაში ავიღოთ სწორი ხაზი, მისადგი და შეფარდებული ნაწილების ადგილობრივ პირობებთან. სანამ გამოცდები არ დამთავრდება და ჯამი არ გაუკეთდება მას, მანამდე გარკვეულად არ შეიძლება თქმა იმისა, თუ რა იყო და არის დასაგმობი და რა სამაგალითო და მისაღები აღნიშნულ მაცადინეობის დარგში.

მანამდი კი ერთი რამ არის ნათელი განსაკუთრებით ის, რომ ამ დარგში დღემდი ძლიერ მოისუსტებდა ცოცხალი კავშირის უქონლობა ნაწილებისა და ცენტრ შორის. არ იყო საერთო გეგმითი სისტემატიური ხელმძღვანელობა, ხშირია, შემთხვევები, როდესაც ერთ ნაწ. მიუხვდავათ იმისა, რომ მუშაობის პირობები დიდათ არ განირჩევა მეორე ნაწილთან, ამიტომ მეცადინეობაც სულ სხვა ნაირად და სხვა პირობებში მიმდინარეობს ასეთი არა ნორმალური მდგომარეობას მომავალში ადგილი არ უნდა ქონდეს.

აგრეთვე რამოდენიმე ეტყობათ გულ-გრილად შეხვედრათ უფროსთა შემადგენლისაგანაც, რომელიც ასუსტებს სისტემატიურ მაცადინეობას და ხელს უშლის დაინტერესებულ პირებსაც მეცადინეობაში.აგრეთვე დიდ შეფერხებას იწვევს კვალიფიციონურ ხელმძღვანელების უყოლობა ზოგიერთ ნაწილებში და სხვა. ერთი სიტყვით გამომცდელ კომისიამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, როგორც თვით საკომანდო შემადგენლობის პოლიტიკურ ცოდნის დონის გამორკვევას, აგრეთვე მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით მაცადინეობის ორგანიზაციულ და მეთოდიურ მხარეებს, რომელიც უნდა გამოიხატოს შემდეგში: ტარდება თუ არა სისტემატიურად მეცადინეობა თანახმად ნაწილის კალენდალურ ცხრილისა, ესწრება თუ არა სისტემატიურად ე ა თუ ის კომანდირი მეცადინეობას და თუ არა რა იყო ამის მიზეზი, როგორ და რა ზომები იქნა მიღებული ნაწილის პოლიტ-აპარატის მიერ მეცადინეობის სასურველ დონეზე დასაყენებლად, იჩენდნენ თუ არა გულ-გრილობას მაცადინეობის ხელმძღვანელები და ზომები იღებოდა ამის გამოსასწორებლად, სწარმოებდა თუ არა მეცადინეობა თანახმად მიღებულ პროგრამისა, ხდებოდა თუ არა მეცადინეობის ხელმძღვანელების ხშირად დასწრება სხვა და სხვა მეთოდიურ-თათბირებზე და რა მიღწევანი მიიღო მეცადინეობის ხელმძღვანელმა ამ დარგში და სხვა. ყველა აღნიშნულ საკითხების დეტალურად გაცნობით შეძლება გვექნება მივიღოთ ნათელი წარმოდგენა აღნიშნულ მეცადინეობის წარმოებაში და გამოცდების დამთავრების შემდეგ ავიღოთ სწორი ხაზი.

ს. ზახტაძე

## • ყუმბარა •

### დ უ ე ტ ი.

(მეგობრული წკეპლა).

„ქარ. გაერთ. სკ. მესამე ასეულმა თავის კორესპონდენტებად აირჩია ამხ. ამხ. მ. ავაქოვი და კ. გაზელია, 23 მარტს, მაგრამ აქამდის არაფერს აკეთებენ. ამისათვის მოხვდებათ წკეპლა".

„წ. არ". № 478.

**ავაქოვი.** მე სიმღერას წამოგიწყებ—
ბანი მითხარ გაზელია...
კორესპონდენციის წერას
ჩვენგან ტყუილად ელიან!..

**გაზელია.** ტაშ-ტუში ავაქოვ-ჯან
დრახტა-დუმბრა, რაშორე-რა...
მეც მადაზე მომიყვანე—
და მომინდა ცეკვა, მღერა!..

**ერთად.** მესამე ასეულო!—
რავქნათ, ვერ გეშველა ხურეთ;
განა ღირდა ამისთვის,
რომ ასე შეგვახურეთ?!

—

რა ვქნათ, თუ კი ზარმაცებს
შრომა არ უყვარება?—
სიზანტისგან, კალამზე,
ხელი არ ეკარება!..

—

შევუდგეთ საქმეს, თორემ
წკეპლებს გვიჭერენ ზურგზე;
დანაც გალესილია
ყველა მშრომელთა ურგზე!

დაშნა.

## ახალი ამბები.

— **1-ლი მაისის ჩასატარებლათ.** წით. არმიელთა ცენტრალურ კლუბთან შესდგა 1-ლი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია.

— **ტფილისის განტვირთვა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომმა გამოიმუშავა პროექტი დადგენილებისა ქალაქ ტფილისის განტვირთვის შესახებ.

— **გზების ხლების შესახებ,** სრ. საქ. ცაკმა მიიღო გამოსაქვეყნებლად პროექტი დადგენილებისა ადმინისტრატიულ წესით გადასახლების შესახებ.

— **დათხოვნილ წითელ არმიელთა შესახებ.** ცაკმა შეადგინა კომისია, რომელსაც დაევალა დებულების შედგენა შვებულებაში დათხოვნილ წით. არმიელთა დახმარების გასაწევათ.

— **ჰაეროპლანებით მიმოსვლა.** ა. კ. საავიაციო საზოგადოება მოკლე ხანში მოაწყობს რეგულარ მიმოფრენას ბაქო-ტფილისს შორის აეროპლანებით.

— **დახმარება სამკითხველოებს.** ქალ. აღმასკომმა გადასდო ტფილისის მაზრის სამკითხველოებ ს საჭიროებისათვის 5 592 მანეთი.

— **გამოფენა.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა დანიშნა მომავალ ზაფხულს ტფილისში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენა.

— **მეღვინეობის კურსები.** მიწ. მოქმედების კომისარიატი იმუშავებს გეგმას მეღვინეობა-მევენახეობის კუ-

რსების დასაარსებლად.

— **მცირე წერა-კითხვის ცოდნა.** პოლიტმმართველობის ხარჯთაღრიცხვის თანახმად 1924 წ. განმავლობაში მცირე წერა-კითხვის მოსასპობად გადადებულია 2.823 მ.

— **ს. მუშაოზე გაგზავნა.** 18 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 52 უმუშევარი.

— **პსიხიატრიული სავათმყოფოები.** ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა გააფართოვა ტფილისის პსიხიატრიული საავათმყოფო 30 საწოლით და სურამის 20 საწოლით.

— **დამზღვევ კასების კონფერენცია.** 15 ივნისისათვის მოწვეულია მესამე კონფერენცია სრ. საქ. დამზღვევი კასებისა.

# ქართული დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში.

**ივანიძის საქმე.**

საარტილერიო დივიზიონის წითელ მოლაშქრე რაჟდენ ივანიძეს ბრალად ედებოდა სამსახურიდან თავის ნებით წასვლა.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: ბრალდებული ივანიძე ყოველთვის ითვლებოდა პატიოსან წითელ არმიელად და არასოდეს არ ყოფილა შემჩნეული არავითარ ცუდ საქციელში.

ექვსი თვის წინად ბრალდებული ივანიძე გაგზავნილ იქნა მივლინებაში ქ. ტაშკენტში, სადაც დაჰყო ექვსი თვე. ჩამოსვლისას იგი უნდა წასულიყო შვებულებაში, მაგრამ ბატარეის უფროსმა თავის კაპრიზობით არ გაუშვა სახლში.

როდესაც ივანიძე აძლევდა პატაკს ბატარეის უფროსს შვებულების შესახებ იგი ამას არ აქცევდა ყურადღებას.

ბოლოს, ივანიძემ დაწერა პატაკი თავის პოლიტხელთან, სადაც იტყობინებოდა საქმის ვითარებას და სთხოვდა რომ იგი არ ჩაერიცხათ დეზერტირად, რადგანაც დედის ავათმყოფობის გამო მიდიოდა სახლში რვა დღით. რვა დღის შემდეგ ბრალდებული ივანიძე მართლაც დაბრუნდა ნაწილში.

აღნიშნული საქმე რევტრიბუნალმა გაარჩია ა. წ. 18 აპრილს და ბრალდებული ივანიძე აღიარა გამართლებულად, რის შემდეგაც იგი დაბრუნებულ იქნა ნაწილში სამსახურის გასაგრძელებლად.

# საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება.

## შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებისადმი.

**ძვირფასო ამხანაგებო.**

საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნო დარაჯნო, წითელო არწივნო! ერთი წლის მუშაობით, ფხიზელი გუშაგობით თქვენ მოიხადეთ დიდი ვალი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე. თქვენ იცავდით საბჭოთა რესპუბლიკებს შინაური და გარეშე მტრებისაგან. თქვენ ალაგმეთ ყველა ჯურის ავაზაკნი, რომელნიც რევოლიუციის მოღალატე და გამყიდველ პარტიების შემწეობით სცდილობდენ საბჭოთა საქართველოს აოხრებას. მშვიდობიან ცხოვრების აფორიაქებას და საქართველოს მუშების და გლეხების კვლავ მემამულეების და კაპიტალისტების ჩაგვრისა და ყვლეფის უღელში შებმას. თქვენმა ერთგულებამ გააქარწყლა მათი იმედები, მხოლოდ თქვენი წყალობით გაანადგურა საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა შინაური მტრები და სამი წლის წინათ დამყარებულ თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობიანობის დარღვევის უფლება არავის არ მისცა.

თქვენივე რისხვით შიშით ვერ ბედავდენ ვერაფერს გარეშე მტრებიც, საზღვარ გარეთელი მტაცებლები. ერთი სიტყვით თქვენ, სასახელო წითელ გმირებო, შეინარჩუნეთ საბჭოთა ხელისუფლებას ის მტკიცე შინაური და საგარეო მდგომარეობა, რომელიც არსებობდა გასული ერთი წლის განმავლობაში და დღესაც ასე ურყევი რჩება. დღეს თქვენ წითელი ჯარის რიგებიდან გეთხოვენ და უბრუნდებით თქვენ ჩაქუჩსა და გუთანს.

რა ევალება თვითეულ არმიელს, რომელიც მიდის შვებულებაში მიემგზავრება სოფლად.

იმ ცოდნათა გავრცელება, რომელიც მან ყაზარმაში ყოფნით მიიღო ამ ერთწლის განმავლობაში. წით. ყაზარმებში თქვენ ბევრი რამ გაიწავლეს. საჭიროა რათა ეს ცოდნა გაუზიაროთ ჩვენ ჩამორჩენილ გლეხებს. სოფლად არ არის საკმაოდ ძალები. სოფელი საჭიროებს ახალი საზოგადოების მშენებელი ენერგიით აღსავსე ახალგაზრდებს. სოფელს სჭირია ყველაზე მეტად ორგანიზატორები, განათლებულნი და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული ხალხი. ასეთ ორგანიზატორს წარმოადგენს შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი. ჩვენს სოფელს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. **შვებულებაში მიმავალმა წითელმა არმიელმა უნდა დაისახოს მიზნათ, პირველ რიგში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა მთელს მოსახლეობაში, რადგან, როგორც ლაპარაკობს და მუშების და გლეხების უდიდესი მასწავლებელი ლენინი სწავლის განათლების გარეშე არ არის კომუნიზმი.**

შვებულებაში მიმავალმა წითელ არმიელმა უნდა განუმარტოს გლეხებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხური მეურნეობისათვის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღებას და აგრონომიულ ცოდნათა შეთვისებას, რითაც ჩქარა ასწევს ის ჩვენს სასოფლო მეურნეობას, დააგროვებს მეტ სიმდიდრეს და ეკონომიურად მოაღონიერებს დაქვეითებულ სოფელს. ამგვარად დაუძინებელი და გაბედული ქადაგება სოფლად გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების და აგრონომიულ ცოდნათა შესისხლხორცების — უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს შვებულებაში მიმავალ ყოველი წითელი არმიელისათვის. ამისათვის თქვენ სოფლის კომკავშირის უჯრედებთან ერთად უნდა მოაწყოთ საუბრები მოიწვევთ აგრონომებს, რომელთაც დახმარებით გლეხთა შეკრებაში, გამოიყენებთ მომზადებულ პირებს საბჭოთა მეურნეობიდან, სასწავლო მინდვრებიდან და სხვები, რომელნიც იმყოფებიან სოფლად. შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი კომკავშირთან ხელიხელ ჩაკიდებული უნდა ღებულობდეს აქტიურ მონაწილეობას სოფლის საბჭოთა აღმშენებლობაში: გზების გაყვანის, ხიდების შეკეთება, სასკოლო შენობების, სახალხო სახლის აგება და ქოხ-სამკითხველოების მოწყობაში, სადაც გლეხს უნდა უკითხავდეთ გაზეთებს, ვაცნობებთ ყოველ დღიურ ქრონიკას, საბჭოთა რესპუბლიკების შინაური და საგარეო მდგომარეობას, ქალაქისა და სოფლის დაახლოების საშუალებებს, ჭირნახულის უკეთ მოყვანას და საერთოდ მთელი სასოფლო-მეურნეობის უკეთ წაყვანის ღონისძიებებს.

შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი უნდა იღებდეს მხურვალე მონაწილეობას სოფლის აღმასკომის, მ წის კომიტეტების, გლეხობის საურთიერთო დამხმარე კომიტეტის მუშაობაში. ის უნდა ერეოდეს არა ნაკლებ კოოპერაციაში რადგან კოოპერატივი დღეს ის ორგანოა, რომელმაც უნდა იხსნას საბოლოოთ გლეხი სოფლის ჩარჩებისაგან, გაატაროს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა და ყველაზე მეტად შეუწყოს ხელი ქალაქის სოფელთან დაახლოვებას.

შვებულებაში მიმავალმა წითელმა არმიელმა უნდა ადევნოს თვალყური, რათა საბჭოთა სახელმწიფო ყოველგვარი კანონები, დეკრეტები თუ დადგენილებანი უკლებლივ ტარდებოდეს ცხოვრებაში. ის ერთი მხრივ უნდა უხსნიდეს და უმარტავდეს მშრომელ გლეხს გამოცემულ კანონების და დადგენილებათა მნიშვნელობას, იმ სარგებლობის, რომელიც შეუძლია მოუტანოს მისი პირნათლად გატარებამ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და მეორეს მხრივ სათანადო ორგანოებისადმი დახმარებით ამოაგდოს ყველა ისინი, ვინც შეეცდება სახელი გაუტეხოს საბჭოთა ხელისუფლებას გლეხობის თვალში და ერთი სიტყვით წინ გადაეღობება საბჭოთა რესპუბლიკის სასარგებლო ნაბიჯს. ყველა ამაების ცხოვრებაში გასატარებლად თქვენ მტკიცე კავშირში უნდა შეხვდეთ ახალგაზრდათა კომკავშირთან და მასთან ერთად წითელ ყაზარმაში მიღებულ სასარგებლო ცოდნას მოახმარა სოციალისტურ სამშობლოს კეთილდღეობას. და ბოლოს გახსოვდეთ წითელ არმიის საყვარელ მასწავლებლის ამხ. ტროცკის შემდეგი სიტყვები: „შვებულებაში მიმავალო წითელო არმიელებო, თქვენ უბრუნდებით სოფელს, თქვენს წინაშე ისმება სოფლის დაპყრობის შესახებ კითხვა არა იარაღით ხელში, არამედ იმ ცოდნით, რომელიც შეიძინეთ თქვენ წითელ არმიაში პოლიტიკის და სასოფლო-სამეურნეო კითხვების შესახებ. სოფელში თქვენ უნდა შეიქნეთ საბჭოთა განვითარების და სოციალისტურ აღმშენებლობის მეთაურნი და მატარებელნი; სოფლის საბჭოებში არ უნდა ექნეს ადგილი ჩარჩს და მევახშეებს. მიდიხართ რა სოფელში, გახსოვდეთ რომ თქვენ შეიძლება კვლავ მოწვეული იქმნათ, მაგრამ არა სამხედრო ხელოვნების შესასწავლად, არამედ მისი საქმეში გამოსაყენებლად, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტრები გვყავს ჩვენ გვსურს მშვიდობიანი შრომა, ჩვენ მივდიოდით და წავალთ შემდეგში ყოველგვარ და შესაძლებელ დათმობებზე, რათა ავიცილოთ თავიდან ომი, მაგრამ თუ კი დაგვჭირდა კვლავ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობის დაცვა, მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ როგორც ერთი კაცი, დაუბრუნდებით წითელი ჯარის რიგებს და დაამტკიცებთ, რომ ფუჭათ არ ჩაუვლია თქვენთვის, პოლიტიკის და პულემიოტის სწავლას. სალამი შვებულებაში მიმავალ წითელ მეომრებს, ვაშა მათ ერთგულებას, გაუმარჯოს ყაზარმაში მიღებულ ცოდნის მშრომელ გლეხობის კეთილდღეობისათვის მოხმარას. გაუმარჯოს მშვიდობიან შრომას.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

# ავიაცია და ტექნიკა

## ჰაეროპლანი პოლიტიკური განათლების ფრონტზე.

ავიაციას არა ერთ დარგში შეუტანია თავისი წვლილი და ვინ იცის მომავალში ისეთი სახე მიიღოს მისმა განვითარებამ. რომ უიმისოდ თითქმის არაფერი გაკეთდეს. თუ ბურჟუაზიული ქვეყნები თავისი სავაჭრო მიზნებისათვის, სხვა და სხვა რეკლამებისათვის იყენებენ ავიაციის საბჭოთა ქვეყნებიც სარგებლობენ ავიაციით არა მარტო მისი პირდაპირი დანიშნულებით, არამედ კულტურული და საზოგადოების-მშრომელთა სასარგებლოდ. წარსულმა სამოქალაქო ომებმა გარკვევით გამოაშკარავა ავიაციის ეს დამსახურება. როგორც ვიცით საბჭოთა მთავრობის ერთი ბრძოლის საშვალებთაგანს შეადგენდა მოწინააღმდეგის ჯარში სააგიტაციო ფურცლების გავრცელება. ვის შეეძლო საუკეთესოდ სამსახურის გაწევა ამ მიმართულებით თუ არა ავიაციას. აქ ჩვენმა ავიაციამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და მისი საშვალებით გავრცელებულ სააგიტაციო ფურცლებს არა ერთი და ორი მოწინააღმდეგის ჯარის კაცის გული აუძგერებია საბჭოთა ხელის უფლებისადმი სიმპატიებით. ამნაირად ავიაციის საშვალებით უხვად ვრცელდებოდა „ბოლშევიზმის მიკრობები“ იმპერიალისტურ ჯარში. მაგრამ თუ როგორ უნდა გავრცელებულიყო ეს „მიკრობები“ მოწინააღმდეგის ბანაკში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა პირველ ხანებში. წარსულში ხმარებული მეთოდი, სააგიტაციო ფურცლების პირდაპირ გადაყრისა ჯარში არ გამოდგა: ჯერ ერთი ფურცლების მეტად მცირე ნაწილი აღწევდა დანიშნულებისამებრ და ამნაირად ბევრი ტყვილა იკარგებოდა. მეორე კიდევ, მეტად სახიფათო იყო თვით მფრინავისთვის. სამოქალაქო ომის უკანასკნელ წლებში შემოღებული იქნა ფურცლების გავრცელების მეტად მარტივი წესი. დამზადებული იქნა განსაკუთრებული აპარატები, რომლის საშვალებითაც პირდაპირ შესაძლებელი ხდებოდა მოწინააღმდეგის ბანაკში ფურცლების მასიურად გავრცელება ამავე დროს მფრინავი უზრუნველყოფილი იყო მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან. თვით ხელსაწყო თავისი აგებულობით მეტად მარტივია. როდესაც მფრინავი გაეშურება თავისი მოვალეობის შესასრულებლად, თან მიაქვს წინდაწინვე დამზადებული საგიტაციო ლიტერატურის შეკვრები, რომლებსაც თან აქვთ მიკრული მილები. წინდაწინვე გამოანგარიშებულია შეკვრის წონა, მისი არე და შნურის სიგრძე რომლითაც ეშვება ლიტერატურა. ყველა ესენი ერთად განსაზღვრავენ მიზანში მოხვედრამდე მანძილს.

განსაზღვრულ სიმაღლეზე, მფრინავი-მეთვალყურე გადაისვრის ფურცლების შეკვრებს. ზონარის წვის განმავლობაში შეკვრები მთლიანი სახით მიჰქსიან ძირისკენ და სასურველ სიმაღლეზე 50-100 მეტრი ლიტერატურა იხსნება და ამნაირად აღწევენ დანიშნულ ადგილს. ასეთი „ყუმბარები“ დიდ გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე. მშვიდობიან დროსაც შეიძლება ამ ხერხით ქალაქებში და სოფლებში, საგიტაციო მიზნით ლიტერატურის და სხვა და სხვა ცნობების და განკარგულებათა ავრცელება.

**შეიხ**

# ვის აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ მიღების შესახებ?

ქართულ მსროლელ დივიზიის პარტ-კომისიაში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

1) ფრანგიშვილი სერგო, 2) გარსევანიშვილი ნიკოლოზი, 3) როდონაია ვარლამი, 4) ლომია გიორგი, 5) ნოზაძე მიხეილი, 6) გიორგობიანი ალექსანდრე, 7) შიოშვილი ივანე, 8) ცერცვაძე ილია, 9) ბურკავა კონსტანტინე, 10) ჩიდრაშვილი ილარიონი, 11) გოგაძე ალექსანდრე, 12) ლეჟავა გიორგი, 13) მახარობლიძე ამბროსი, 14) ხარბედია ბაგრატი, 15) ალავიძე ვასილი, 16) გვიჩია კალისტრატე, (ქართულ დივიზიის პოლიტ სკოლის), 17) მასხარაშვილი ალექსანდრე (ქართულ საარტილერიო დივიზიონისა). 18) კოპლატაძე ეგნატე (ქართულ ცხენოსან ლეგიონის).

ქართულ დივიზიის პარტ-კომისია გთხოვთ თუ ვინმემ იცის უარყოფითი მხარე აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობითი, ან სიტყვიერად პარტ-კომისიის პასუხის მგებელ მდივანს.

**მისამართი:** რუსთაველის პრ. სახლი ყოფილი კადეტის კორპუსი. ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილება. პარტ კომისია.

ქართულ მსროლელ დივ. პარტ კომისიის პასუხის მგებელი მდივანი **მამულაშვილი.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.